საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

01/07/2022
N 09-02-16/400

400-09-02-16-2-202207011235

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს

ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ:

1. ბათუმის ახალ ბულვარში, ჭოროხის შესართავთან ერთ კილომეტრიანი მონაკვეთის ნაპირსამაგრ სამუშაოებთან დაკავშირებით გვაცნობოთ:

ა) რომელ წელს დაიწყო და დასრულდა სამუშაოები;

ბ) სამუშაოების საერთო ღირებულება;

გ) გთხოვთ მოგვაწოდოთ სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების დოკუმენტების ასლები;

2. ბათუმის სანაპიროს ხელოვნურად გამაგრების სამუშაოებთან დაკავშირებით გვაცნობოთ:

ა) 2011 წლიდან დღემდე რა ოდენობის თანხა დაიხარჯა ინერტული მასალის ჩაყრის სამუშაოებზე და რამდენი კუბური მეტრი ინერტული მასალის ჩაყრა მოხდა:

წელი	ჩაყრილი ინერტული მასალის მოცულობა (კუბური მეტრი)	სამუშაოების საერთო ღირებულება	სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მონაცემები	
			დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი
2011				
2012				
2013				
2014				

2015				
2016				
2017				
2018				
2019				
2020				
2021				
2022				

3. გთხოვთ მოგვაწოდოთ დოკუმენტების ასლები (წერილები, საექსპერტო დასკვნები, მოხსენებითი ბარათები და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი), რის საფუძველზეც მოხდა ინერტული მასალის ჩაყრის პროგრამის შეჩერება, ასევე გვაცნობოთ განხორციელდა თუ არა კონსულტაციები ექსპერტებთან, სპეციალისტებთან პროგრამის შეჩერების მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებით და მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;

4. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის უმაღლესი საბჭოში განხილვისას და შემდგომ პერიოდებშიც ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მოითხოვდა ბათუმის სანაპირო ზოლში ინერტული მასალის ხელოვნურად ჩაყრის პროგრამის ამუშავებას, რაც არ იქნა ხელისუფლების მიერ გათვალისწინებული. გთხოვთ გვაცნობოთ:

ა) რატომ არ იქნა გათვალისწინებული 2022 წლამდე ეს მოთხოვნა? გთხოვთ მოგვაწოდოთ დოკუმენტების ასლები, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენი წინადადების გათვალისწინებაზე აჭარის ა. რ მთავრობის მიერ უარის თქმას.

ბ) გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია და დოკუმენტების ასლები, რომელიც საფუძვლად დაედო ინერტული მასალის ჩაყრის პროგრამის ამუშავებას 2022 წელს;

5. განხორციელდა ან იგეგმება თუ არა შესწავლა/კვლევა და შეფასება ბათუმის სანაპირო ზოლში ინერტული მასალის ჩაყრის პროგრამის შეჩერებას უკავშირდება თუ არა ახალი ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე დღემდე გამოწვეული ეროზიები და სანაპიროს ნგრევა? გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები.

პატივისცემით,

გია აბულაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები